ხელშეკრულება № 2

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ქუთაისი 10 თებერვალი 2020 წელი.

ერთის მხრივ სსიპ. **ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი** (შემდგომში „შემსყიდველი“) ს/კ 212907513 **ადმინისტრაციის სამსახურის ხელმძღვანელი მზექალა ლასარეიშვილის** სახით და მეორე მხრივ, **შპს "ორგსერვისი"** ს/კ 212693851იურიდიული მისამართი: ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ. 51/2ა წარმოდგენილი მისი დირექტორის ხვიჩა ნემსაძის სახით, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“ , ვმხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ამ ხელშეკრულების შესაბამისად შემსყიდველი ავალებს და მიმწოდებელი ვალდებულებას იღებს მოახდინოს თავისი სახელით იურიდიული და სხვა მოქმედებები საქონლის შემსყიდველისათვის საწერ-სახაზავი ქაღალდის და ანალოგიური მასალების, საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები (30192121 - ბურთულიანი კალმები, 30192125 - მარკერები, 31440000 - ელემენტები, 22817000 - დღიურები ან პერსონალური ჟურნალები, 22831000 - დამატებითი ფურცლები სკოლის რვეულებისთვის, 22832000 - სავარჯიშო ფურცლები, 22852000 - საქაღალდეები, 22853000 - ფაილების ჩასადებები, 30199000 - ქაღალდის საკანცელარიო ნივთები, 30193000 - ორგანაიზერები და აქსესუარები, 30197000 - მცირე საოფისე მოწყობილობები, 22816100 - ბლოკნოტები, 22816300 - წებოვანი ქაღალდები,22852100 - ფაილები, 30124400 - სტეპლერის ტყვიები,,30200000 - კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები, ფლეშმეხსიერება, 30192700 - საკანცელარიო ნივთები, 31440000 - ელემენტები,30192900 - საკორექციო საშუალებები; 30197100 - სტეპლერები, ჭიკარტები, საკანცელარიო სარჭები, 30197200 - რგოლებიანი სწრაფჩამკერები/ბაინდერები და ქაღალდის სკრეპები30197620 - საწერი ქაღალდი, 30197630 - საბეჭდი ქაღალდი, 30199410 - თვითკრობადი ქაღალდი, 30199720 - ქაღალდი შენიშვნებისათვის, 30192130 - ფანქრები, 30192160 - კორექტორები, 30192910 - საკორექციო ფირი ან ლენტი, 30197330 - სახვრეტელები,) მისაწოდებლად, შემსყიდველი ვალდებულებას იღებს გადაუხადოს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. შესყიდვის ფასი – 217-65 (ორასი) ლარი

3. მომსახურების ვადები

3.1 „მიმწოდებლის” მიერ ზემოაღნიშნული მომსახურეობის გაწევის ვადაა 2020 წლის 6 თებერვლიდან 2020 წლის 1 მარტამდე.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 06.02.2020 7 კალენდარული დღის განმავლობაში
4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. ქუთაისი კ. გამსახურდიას №43ა
4.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის

5. ანგარიშსწორების ფორმა

5.1 ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ანგარიშ-ფაქტურის, სასაქონლო ზედდებულის ან სხვა კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.
5.2 ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას ახდენს მიმწოდებელი.
5.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 „მიმწოდებელი“ იღებს ვალდებულებას გაუწიოს „შემსყიდველ“-ს ზემოაღნიშნული მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
6.2 „შემსყიდველი“ იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების შესაბამისი თანხა

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.ფორს-მაჟორული სიტუაციები

8.1 მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.
8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისათვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
9.4 მხარეები იღებენ ვალდებულებას შეატყობინონ ერთმანეთს აღნიშნული ხელშეკრულების პირობების ცვლილებათა შესახებ არაუგვიანეს **3 დღისა**

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2020 წლის 1 მარტამდე.

11. დავების გადაწყვეტის წესი

11.1 მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების მეშვეობით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან **7 (შვიდ)** დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
12.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.
12.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.
12.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
12.6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ სხვა შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურეობის ღირებულება.

13. ხელშეკრულების კონტროლის პირობები

13.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.
13.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
13.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

14. სხვა დებულებები

14.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა რეკვიზიტები

”შემსყიდველი”	“მიმწოდებელი”
საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი მის: ქ.ქუთაისი გამსახურდიას 43ა საიდენტიფიკაციო კოდი 212907513 საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს სახელმწიფო ხაზინა	**შპს „ორგსერვისი"** მის: ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ. № 51/2ა საიდენტიფიკაციო კოდი 212 693 851 პროკრედიტ ბანკი saqarTvelo GE28PCO133600100067722
ადმინისტრაციის სამსახურის ხელმძღვანელი მზექალა ლასარეიშვილი	დირექტორი ხვიჩა ნემსაძე